სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ:

2009 წელს 01 იანვრიდან 2010 წლის 01 იანვრამდე პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 1175 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 1091 შემოვიდა 2009 წელს, ხოლო 84 შემოსული იყო 2008 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 546 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;

2. 17 დისციპლინურ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილების საფუძველზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

3. 36 დისციპლინურ საქმეზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოსამართლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, (ამასთან 5 დისციპლინურ საქმეზე 2008 წელს ჩამოერთავათ მოსამართლეებს ახსნა-განმარტება). შესაბამისად, სულ 43 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის გამოკვლევა;

აღნიშნული 41 დისციპლინური საქმიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) 5 დისციპლინურ საქმეზე შეწყდა დისციპლინური დევნა;

ბ) 14 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

გ) 20 დისციპლინურ საქმეზე 17 მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში.

დ) 2 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს დისციპლინური საქმის გამოკვლევა.

4. ქვემდებარეობით გადაიგზავნა, მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი თავიანთ წერილებზე დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდეციაულურობის შესახებ ან/და სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული 506 განცხადება (საჩივარი, წერილი);

5. 63 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება;

2009 წლის განმავლობაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული 1175 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე დისციპლინური საქმის გამოკვლევის

შედეგად 20 დისციპლინურ საქმეზე მიეცნენ მოსამართლეები დისციპლინურ პასუხისგებაში და საქმეთა გაერთიანების შედეგად 17 დისციპლინური საქმე და ასევე 2008 წლის დეკემბრის თვის 2 დისციპლინური საქმე – სულ 19 საქმე გადაიგზავნა განსახილველად საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში).

სტატისტიკური ინფორმაცია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2008 წელს განხილული საქმეების შესახებ

2009 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა 19 დისციპლინური საქმე, გასული წლის ნაშთი - 25, სულ - 44 დისციპლინური საქმე.

2009 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 44 დისციპლინური საქმე - 33 მოსამართლის მიმართ (100%):

1. 4 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში მოსამართლე გამართლდა (4 მოსამართლე).

2. 8 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით (6 მოსამართლე).

3. 13 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - შენიშვნა (9 მოსამართლე).

4. 9 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საყვედური (6 მოსამართლე).

5. 4 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (3 მოსამართლე).

6. 6 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (5 მოსამართლე).

2009 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2 გადაწყვეტილება, რომელთაგან 2-ვე დარჩა ძალაში.